ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 379

ქალაქი ქუთაისი 30 ივლისი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2024 წლის ივლისიდან 2025 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2024 წლის ივლისიდან 2025 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2024 წლის ივლისიდან 2025 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 220
„31“ 07 2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 30 ივლისის
№ 379 დადგენილების დანართი

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის მიერ 2024 წლის ივლისიდან 2025 წლის ივლისამდე გაწეული
მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და შემდგომში რეაგირების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

კომისია შედგება 16 წევრისაგან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და განხილვაში. 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ სამუშაო შეხვედრებში, სამსახურებთან ერთად მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში აისახა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც შემუშავდა 2024 წლის 22 ნოემბრის ხდომაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის პირველი ვარიანტის მიმართ. მიმდინარე წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს დადებითი რეკომენდაცია მიეცა 2024 წლის 24 დეკემბრის კომისიის სხდომაზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და 2025 წლის 28 იანვრის სხდომაზე დაამტკიცა სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე პერიოდულად იხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები.

წინასწარ ცნობილი განრიგის მიხედვით, ანგარიშვალდებული ორგანოები კომისიაში წარმოადგენდნენ ინფორმაციას, რომელიც განხილვის მიზნით, ეგზავნებოდათ კომისიის წევრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 8 სხდომა. განხილულია 20 საკითხი.

ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო.

ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა კომისიის არცერთი სხდომა.

ყველა მათგანზე იყო მოწვეული აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ და მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;

2. განიხილა და შეაფასა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წარადგინა შესაბამისი წინადადებები;

3. საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა ბიუჯეტის 5 ცვლილება. აქედან, 2024 წლის ბიუჯეტს შეეხო ორი (მეოთხე და მეხუთე ცვლილება), ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტს – სამი ცვლილება. ყველა ცვლილებაზე კომისიის მიერ მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა დადებითი დასკვნა;

4. განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, 2025 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა;

5. კომისიის მიერ მომზადდა და მიეწოდა საჯარო ინფორმაციები არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი მოთხოვნების საფუძველზე;

6. მოისმინა და ცნობად მიიღო საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის თაობაზე აუდიტის ანგარიში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოამზადა განკარგულების პროექტი, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა 2024 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე.

7. მოსმენილ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის; სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის; კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის; სოციალურ საკითხთა სამსახურის; საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის; მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების"; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის"; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების"; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: 2025 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა; საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების კონტროლი და ანგარიშგება მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით; სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა; ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა-გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 45-ე სხდომაზე, 2025 წლის 30 ივლისს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ბაქარ მახარაძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია